

მე-2 კლასი

1. გამოთვალეთ $9-7+5=$
ა. 9 ბ. 7 გ. 5
2. რომელია არასწორი?
ა. $1+2+3+4=5+6$ ბ. $1+3+5=3+3+3$ გ. $4+5+6=7+8$
3. ამოარჩიეთ უდიდესი (ყველაზე დიდი):
ა. $11+4$ ბ. $16-2$ გ. $19-3$
4. რომელია სწორი?
ა. $17-9>8+1+2$ ბ. $19-7+1>3+5+7$ გ. $2+3+5+6>18-4$

7. რომელია მეტი შვიდს მივუმატოთ თერთმეტი თუ ოცს გამოვაკლოთ ორი?

- ა. შვიდს მივუმატოთ თერთმეტი
- ბ. ოცს გამოვაკლოთ ორი
- გ. ტოლია

6. რომელია ნაკლები, 3 ძაღლის თვალების რაოდენობა თუ 2 კატის ფეხების რაოდენობა?

- ა. 3 ძაღლის თვალების რაოდენობა
- ბ. ტოლია
- გ. 2 კატის ფეხების რაოდენობა

7. ნინოს 13 ლარი ჰქონდა. მან 2 ცალი 3 ლარიანი ნაყინი იყიდა. შემდეგ კი ბებომ აჩუქა მას 5 ლარი. რამდენი ლარი აქვს ახლა ნინოს?

- ა. 13 ბ. 12 გ. 18

8. ანამ, ნინამ და ნატამ სოკო მოაგროვეს. ამათგან ანამ _ 8, ნინამ კი ანაზე 4-ით ნაკლები. რამდენი სოკო მოუგროვებია ნატას, თუ ცნობილია, რომ მან მოაგროვა 3 სოკოთი მეტი, ვიდრე ანამ და ნინამ ერთად?

- ა. 15 ბ. 12 გ. 4

9. რა შეიძლება ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად, რომ სწორი უტოლობა მივიღოთ?

$$19-11+? > 8+7$$

- ა. 7 ბ. 10 გ. 3

10. რა უნდა ეხატოს გამოტოვებულ 2 ადგილას? * , ♦ , * , * , ♦ , ..., ..., ♦ , * .

- ა. ♦ , * . ბ. * , ♦ . გ. * , * .